ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო[1]

თბილისი, 4 ნოემბერი 2013 წ.

მეორე სხდომის ოქმი

2013 წლის 4 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიმართა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მე-2 სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა შსს-ს რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს დირექტორი ირაკლი ბერაია. სხდომას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროებისა და მთავარი პროკურატურის წარმომადგენლები. სხდომის მიზანს წარმოადგენდა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს მობრძანებისთვის. მან აღნიშნა, რომ დაახლოებით ერთი თვის წინ, 2013 წლის 2 ოქტომბერს, მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია, რომელშიც განხილულია „ქურდული სამყაროსა" და სხვა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლა, გატაცებული ავტომობილების გამოვლენა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ისევე როგორც საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და უწყებათშორისი კოორდინაცია. გარდა ამისა, სტრატეგიაში გაწერილია თითოეულ სფეროში არსებული ვითარება, გამოწვევები, მიზნები და გასატარებელი ღონისძიებები. თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა აღნიშნული სტრატეგიის შემუშავებში თითოეული უწყებისა და მისი წარმომადგენლების როლზე.

სხდომის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ სტრატეგიიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყოველი აქტივობა შეთანხმებული იყო პასუხისმგებელ უწყებებთან - საბჭოს წევრებთან.

გამომდინარე იქიდან, რომ სხდომაზე უნდა განხილულიყო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების საკითხი, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს სთხოვა ხელის აწევით დაედასტურებინათ ეთანხმებოდნენ თუ არა სამოქმედო გეგმის დამტკიცებას, იმ შემთხვევაში, თუ რაიმე საკითხი კვლავ არ საჭიროებდა განხილვასა და შეთანხმებას.

---

[1] ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათ შორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა დამტკიცდა 2013 წლის 13 ივნისს საქართველოს მთავრობის №145 დადგენილებით.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა გამოხატა სურვილი, რომ სამოქმედო გეგმის 22-ე პუნქტის, 22.1, 22.2 და 22.3 ქვეპუნქტებში, რომელიც ეხება კიბერდანაშაულთან ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, შეტანილიყო ცვლილება, კერძოდ „ცვლილებების შეტანის" ნაცვლად გაწერილიყო „საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა".

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ წარმოდგენილ ცვლილებას და ხელის აწევით დაადასტურეს სამოქმედო გეგმის დამტკიცება.

დასასრულს, სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საბჭოს საქმიანობა გადადის ახალ ფაზაში და რომ ზოგიერთი უწყების მიერ ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია აქტიური მუშაობა. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ შსს აპირებს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მეშვეობით წერილით მიმართოს საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობას და სთხოვოს მათ დახმარება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებების განხორციელებაში.

სხდომის თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ უწყებათშორისი თანამშრომლობა იქნება მჭიდრო და პროდუქტიული.

ირაკლი ბერაია

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის
უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მდივანი,
ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის
უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი